სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ლუხუნი 2 ჰესის 110 კვ ძაბვის ქვესადგურის 110 კვ ძაბვის ქვესადგურ „ონი 110“-თან დამაკავშირებელი 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 110 კვ ძაბვის ქვესადგურის, 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაცია“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტები

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- **2023 წლის 21 სექტემბერი, 16:00 საათი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ურავის კულტურის სახლის შენობა**
- **2023 წლის 22 სექტემბერი, 11:00 საათი, ონის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის შენობა (მის: კახაბერის ქ. N4)**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2023 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).